

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (I-VI კლასები)

დაწყებითი საფეხურის მისია

- სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა;
- საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- წაკითხვის გააზრებისა და მათემატიკაში ფიქრისა და აზროვნების უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- დამოუკიდებლობის, თვითშეფასებისა და პასუხისმგებლობის უნარების განვითარების ხელშეწყობა.

სასწავლო პროცესის აღწერა

დაწყებით საფეხურზე საგაკვეთილო პროცესი იწყება 9:30 . გახანგრძლივებული სწავლება შეთავაზებულია 1-6 კალსებში. გახანგრძლივებული ჯგუფებისთვის განსაზღვრულია სადამრიგებლო საათი შეთავაზებულია კვირაში ერთჯერ გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებისა, სკოლაში არის დამატებითი ფაკულტატური მომსახურების ფართო არჩევანი: ქართული ცეკვის, ტანვარჯშის წრე

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (VI I- I X კლასები)

საბაზო საფეხურის მისია

- საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება;
- მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა და განვითარების ხელშეწყობა;
- მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- მოსწავლის დამოუკიდებლად სწავლის (სწავლის სწავლა) უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარების ხელშეწყობა;
- აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა სწავლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისათვის.

სასწავლო პროცესის აღწერა

სასწავლო პროცესი იწყება 9:30 და მთავრდება 16:00

გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებისა, სკოლაში არის დამატებითი ფაკულტატური მომსახურების ფართო არჩევანი.ხელოვნების წრე, სატელევიზიო კლუბი

სადამრიგებლო საათი-კვირაში ერთჯერ

საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ მოსწავლე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – საბაზო განათლების ატესტატს.

Commented [ICIQ1]: ეს ჩანაწერია კვალიფიკაციის მინიჭება

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (X- XII კლასები)

საშუალო საფეხურის მისია

- საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
- მოაზროვნე, მამიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებისა, სკოლაში არის დამატებითი ფაკულტატური მომსახურების ფართო არჩევანი.

სადაამრებლო საათი-კვირაში ერთჯერ.

შეთავაზებულია ,, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის: პროგრამა, ერიონული გამოცდებისთვის მომზადება

საშუალო საფეხურის დაძლევის შემდეგ მოსწავლე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - სრული ზოგადი განათლების ატესტატს.

Commented [ICIQ2]: ეს არის კვალიფიკაცია